


ლიცენზირებული საშუალო



საშუალოს მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშუალოს მოამბის“ ღამატიკა
№8, 20 სექტემბერი, ორშაბათი, 2021 წელი

აქცუალური თემა

გვიანი გამოსმაურება „მწერალთა აკადემიის“
მიერ არცთუაკადემიურ საჩივარზე!

მიმდინარე წლის 5 აგვისტოს ინტერნეტსივრცეში „მწერალთა აკადემიის“ მიერ საქართველოს კულტურის მინისტრის, ქ-ნ თეა წულუკიანისადმი მიწერილი ღია წერილი გავრცელდა, რომლის ხელმოწერა ავტორთაგან, რამდენიმე მათგანმა მოგვიანებით გამოთქვა საყვედური, რომ აღნიშნულ წერილზე მათი ხელმოწერა მათთან შეთანხმების გარეშე გაკეთდა, რაც დაუშვებლად მიმაჩნია.

„რა დრო დადგა, რომ მწერალთა ისტორიულ (სარაჯიშვილისეულ) სახლში შეჭრილი მედროვე – მოროდორები ვერ გაგვიყვანია!.. ქაჯები „ბაირამობენ“! მართლაც სამწერლო, ისტორიულ-მემორიალური სახლი, სადაც მწერლებს შეკრება უხაროდათ, სიამოვნებდათ ბიბლიოთეკასა თუ ბაღში ჯდომა, არქივებში ძიება, – ამათ ეს გარემო „ბარდაკად“, რესტორნად და სასტუმროდ აქციეს. გაანადგურეს ბიბლიოთეკა...“

...კატეგორიულად მოვითხოვთ, გააუქმონ მწერალთა სახლის ახლანდელ ბინადართა პრიორიტეტები და ეს სახლი დაუბრუნდეს ქვეყნის მწერლობას!“ – ნათქვამია პროტესტის წერილში.

ცნობილია, რომ მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა მწერალთა სახლი არა მხოლოდ მწერლებს, არამედ საზოგადო მოღვაწეებსა და ხელოვანებსაც უანდერძა. საბჭოურ წლებში ხელისუფლებას მწერალი საუკეთესო რუპორად მიაჩნდა კომუნისტური მენტალიტეტის დასამკვიდრებლად. ამიტომ მაჩაბლის 13-ში განთავსებულ შენობას „მწერალთა კავშირი“ ეწოდა. სწორედ ამ „მწერალთა კავშირში“ ლიტერატურული ცხოვრების პარალელურად მიმდინარეობდა ისეთი დაუნდობელი პროცესები, რასაც მომავალი თაობა ვერაფრით გაამართლებდა. ამ შენობაში მოიკლა თავი პაოლო იაშვილმა, რათა „ჩამშვების“ როლში არ აღმოჩენილიყო! საბჭოთა ხელისუფლებას ნიჭიერი მწერლის ნიჭიერად დაწერილი მხატვრული სახეების აგიტაცია ესაჭიროებოდა! მწერალ რევაზ კვერენჩილაძეს რამდენიმე წიგნი აქვს გამოქვეყნებული რეპრესირებული მწერლების შესახებ, სადაც ფაქტებზე დაყრდნობით არის აღწერილი მწერლების მიერ მწერლების დაბეზლების შემთხვევები...

დღეს კი, რა ხდება? ნუთუ კვლავ იმ წლებში დავბრუნდით? კულტურის მინისტრისადმი მიწერილ პირფერობისა და სხვათა დამცირების გამოკვეთილი დეტალებით აღსავსე პროტესტის შემოთხენებულ წერილში სწორედ ასეთი კითხვა იბადება...

ღიახ, ეს იყო საჩივარი და კომუნისტური რეპრესიის წლებისთვის დამახასიათებელი სტილი, ანუ დაბეზლება! ამ დამბეზლებელთა შორის, სამწუხაროდ, მართლა მწერლებიც არიან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ „მწერალთა აკადემიისაგან“ განსხვავებით, „მწერალთა კავშირში“ მართლა მწერლების გარდა უამრავი ე. წ. მწერალი ანუ გრაფომანია. მათი ხელოვნურად გაზრდილი რაოდენობა ვერ იქნება და არც უნდა იყოს კულტურის სამინისტროსა, ან სხვა უწყებების მზრუნველობის ქვეშ.

რაც შეეხება მწერალთა სახლის დირექტორს, ქ-ნ ნატა ლომოურს, მან დიდი შრომა გასწია იმისთვის, რომ ამ ისტორიულ სახლს თავისი სახე და ფუნქცია დაბრუნებოდა. მე მას გავუზიარებდი ზოგიერთ ჩემს მოსაზრებას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად:

1. მან უსათუოდ უნდა დაუთმოს „მწერალთა კავშირის“ სამდივნოს პირველ სართულზე განთავსებული ოთახი. მიუხედავად იმისა, რომ სამდივნოს საშუალება ეძლევა ყოფილი ბიბლიოთეკის დარბაზში შეიკრიბოს, ცალკე გამოყოფილი კაბინეტი მაინც საჭიროა მუდმივი მუშაობისათვის, რომელიც დღეს ლერმონტოვის ქუჩაზე ნაქირავებ ორ ოთახში მიმდინარეობს.

2. მწერალთა სახლის ბაღში გახსნილ კაფეში კვირაში ერთი დღე მხოლოდ მწერლებისთვის უნდა იყოს მომსახურება, მათთვის საგრძნობლად შემცირებული ფასებით. ვფიქრობ, ახლო მომავალში ეს საქმე უსათუოდ მოგვარდება. დღეს კი ამ ისტორიულ სახლში არავის უკრძალავენ საღამოებისა თუ წიგნის პრეზენტაციების მოწყობას როგორც მართლა მწერლებს, ისე, სამწუხაროდ, გრაფომანებსაც...

ვფიქრობ, ჩვენ უფრო ლიტერატურული კრიტიკის განვითარებაზე უნდა ვიზრუნოთ, რომელიც ხელს შეუწყობს სამწერლო პროცესების წინსვლას. **მკითხველი თითქმის არ გვყავს, შემფასებელი არ გვყავს! – აი, უმთავრესი მწვავე პრობლემა!**


მადლობა „მწერალთა აკადემიის“ ინიციატორებს, მაგრამ ბოლმის ნთხევით მხოლოდ საკუთარ თავს მივაყენებთ შეურაცხყოფას! **მთავარია, გვიყვარდეს ლიტერატურა საკუთარ თავში, და არა საკუთარი თავი ლიტერატურაში!**

გაქრა ის რაც იყო, ქრება ის, რაც არის,
სულს უჭირს ეჭვების ზიდვა...
მკითხველი არ არის, არ არის, არ არის...
„მწერალი“? – რამდენიც გინდა!

პროკლამაცია

როგორ მომბეზრდით ყველანი – ეგ თქვენი ყალბი ღელვანი! ჩამომინგრეთ კერანი ქვებით, თავში რომ ვიხლი... მაგ თქვენი უშნო ღრენანით გულს დამაჩნიეთ კბენანი, როგორც ქალაღზე მელანი – იღვრება ჩემი სისხლი! როგორ გიშველოთ კეთროვნებს, პირშავიანთა თეთრ მონებს, ტყუილ-უბრალოდ ვეომე სიტყვების წყება-წყებას... ათასჯერ გაგიმეორებთ – ჩემში ნუ ხედავთ ვერმომრევს, ფიქრობთ, „დიდკაცთა“ ქვემორე ყველა მორჩილად წვება? „დიდკაცთა“ ნამცეც-კაცობას ვერ შევლის მარჯვედ ანცობა, ბოთლზე მორგება საცობად შამპანურ-არაყ-ლუდის, ენაზე კვერის დაცხობა, ოქროზე ოქროს დანყოფა, თავზე ნამუსის დამხობა უნამუსობის ქუდით! სადამდე თქვენი დაშვება? ცრემლისგან თვალი არ შრება, პირფერთა ამ თავაშვებას გული თქვენგან შორს მიჰყავს... ეგ თქვენი შეპარპაშება რა ურცხვად მეთამაშება, ქრისტეც ამაოდ დაშვრება, რადგან არავინ გიყვართ!

მზია ხეთაგური,
მწერალი, საზოგადო მოღვაწე,
საპატრიარქოს წმ. გიორგის ოქროს ორდენის მფლობელი



„ღირსეული და საჭირო საქმის კეთება „სკამის“ გარეშე შეიძლება...“ (მასალა გადმობეჭდილია გაზეთ „აჭარაში“ დაბეჭდილი ინტერვიუს მიხედვით.)

ივნისში ქობულეთში გამართულ საბავშვო თეატრალურ ფესტივალს – „მზიანი საქართველო“ განსაკუთრებული ელფერი პატარა ხაზურელმა მსახიობებმა შესძინეს – თეატრალური წრის „აკვარიუმის“ სპექტაკლმა საყოველთაო მონონება დაიმსახურა. მისმა მონაწილეებმა რვა ნომინაციაში მოიპოვეს პრიზები. ეს, უპირველესად, „აკვარიუმის“ დამაარსებლისა და ხელმძღვანელის, ცნობილი პოეტის ეკა ბაქრაძის დამსახურებაა. ფესტივალის ყიურიმ იგი საუკეთესო რეჟისურისა და სცენარისტის დიპლომით დააჯილდოვა. ქალბატონ ეკას შევხვდით და ინტერვიუ ვთხოვეთ.

– ქალბატონო ეკა, გილოცავთ „აკვარიუმის“ წარმატებას. ამ რთულ პერიოდში თქვენმა დასმა თავი გამოიჩინა. მოგვითხრეთ მის შესახებ...

– უპირველესად, მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველს. რაც შეეხება ქობულეთში, საბავშვო თეატრალურ ფესტივალზე „მზიანი საქართველო“ ჩვენს მორიგ წარმატებას, არ დაგიმალოვთ და, უმოკლეს დროში (თვენახევარში) მომზადებული სპექტაკლის ასეთ შედეგს არც ველოდი.

მკითხველს შევახსენებ, რომ 5 წლის წინ, ხაზურში საბავშვო თეატრალური წრე „აკვარიუმი“ ჩამოვყალიბე. დახვეწილ მეტყველებასა და მხატვრულად აზროვნებასთან ერთად, რამდენიმე თაობამ მიიღო მაცურებელთან ურთიერთობის გამოცდილება, სცენის მტვერი და დამსახურებული აპლოდისმენტის გემო გაიგო. ამ ხნის განმავლობაში წარმატებით მოვიარეთ სხვადასხვა ფესტივალი, გავიზარდეთ, გამოცდილება შევიძინეთ. გვექონდა საინტერესო პროექტები და გეგმები, კერძოდ, ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე გასამგზავრებლად ვემზადებოდით...

ერთი ხელის მოსმით, პანდემიის გამო, ყველაფერი შეწყდა. სამყარო გაჩერდა ჩემთვის (არ ვაჭარბებ), გულის არეში ტკივილები დამეწყა... რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი დააკლდა ჩემს ცხოვრებას... სკოლა, სადაც წრის ფართი მქონდა აღებული, დაიკეტა. გადაწყვიტე, შინ განმეხლებინა მეცადინეობები. სპექტიკურად განწყობილმა რამდენიმე მშობელმა ბავშვი გაიყვანა, ვისაც გაგრძელების სურვილი ჰქონდა, უტრანსპორტობის გამო, შორი მანძილიდან ვერ ახერხებდნენ ჩემამდე მოსვლას. მხოლოდ ერთ გოგონას ვამეცადინებდი მეტყველებასა და მხატვრულ კითხვაში. სპექტაკლზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო. მეზობელი ქალაქიდან ინკლუზიური ბავშვების მშობლები დამიკავშირდნენ (წლების წინ, ამ ქალაქში გამართულ „აკვარიუმის“ სპექტაკლს დასწრებიან), მოხივებს, დრო დამეთმო მათი შვილებისთვის. ცხადია, მათთან მუშაობა „აკვარიუმისთვის“ წარმატების მომტანი ვერ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, უარი არ მითქვამს მზის შვილებისთვის, რომლებიც სიხარულით მოიჩქაროდნენ ჩემთან. მათ ცალკე ვუთმობდი ორ დღეს. ისინი მშობლებს საკუთარი ავტომობილით მოჰყავდათ.

მიზერულ ხელფასზე, კრედიტების ხურჯინით მხრებზე დარჩენილმა (მეორე სამსახურიდან გავთავისუფლდი), ჩაკეტილი ზამთარი ამ ციციქნა სინათლის სხივით გადავატარე...

მყავს, მალვინას გარდა. ვერც ვპოულობ. აფორიაქებული ვარ... არლევინის როლის შემსრულებლის დედა მეუბნება – გოგონაც მყავს, პატარაა, ნერა-კითხვა არ იცის, ხომ არ მოსინჯავთო... მომიყვანეს. ჩემს წინ მკაცრი, სერიოზული სახის მალვინა დგას, ახლადმოცვლილი აქვს კბილები, გამართულად ვერც ლაპარაკობს... არჩევანის დრო არ მქონდა, უნდა გამერისკა... როლს ვუკითხავდი და ის იმეორებდა. ასე ისწავლა ტექსტი. ზოგჯერ რეპეტიციებზე დედა მოუნდებოდა და ატირებოდა...

დადგა ფესტივალის დღე. გული მიკანკალებს – სპექტაკლის დროს რომ მოუნდეს დედა, რა უნდა ვქნა?! – მარიაშმა შესანიშნავად გაართვა თავი როლს ცისფერი პარიკით და ნომინაცია – მაცურებლის სიმპათიაც დაიმსახურა. სამი წლის შემდეგ დამიბრუნდა გონიერი, დისციპლინირებული, მიზანდასახული და შრომისმოყვარე მარიაშ და ახალ სპექტაკლში ბრწყინვალედ მიიტანა მაცურებლამდე, ერთდროულად, ორი როლი – ჰოლანდიელი მწერალი ქალი და მისი ბავშვობა და, კიდევ ერთი, საუკეთესო ნომინაცია დაიმსახურა.


მურმანი ლომიძე ორი ნომინაციის მფლობელია, ანა ნეფარიძე, „აკვარიუმის“ ფრესკა გოგო კი – სამის.

საბა გოგალაძემ, „აკვარიუმის“ ახალმა წევრმა, ბუნებრივი ქარიზმით სავსე ბიჭმა, მოკლე დროში აულო ალოო სასცენო ნიუანსებს. ჩემი მორიგი სპექტაკლის ინსპირაცია სწორედ საბა იქნება.

გუჯა გოგალაძე ჩემი „ვეტერანი“ მსახიობია, პატარა მოვიდა და დღემდე სოფელ ცხრამუნდინიდან დადის. გუჯა 7 ფესტივალის 7 ნომინაციის მფლობელი გახდა, საოცარი გარდასახვით გამოიჩინა როგორც კომედიურ, სახასიათო ჟანრში, ასევე, ლექსის კითხვისას.

ჩემი შვილი – გიორგი ბაქრაძე, ასევე, საუკეთესო ნომინაციების მფლობელია. მისი გენეტიკური (სამსახიობო) და, ზოგადად, მრავალფეროვანი ნიჭის ჩემეული, სწორი განვითარება მადლვეს უფლებას, მისით ვიამაყო.

„აკვარიუმის“ ბირთვი სექტემბრიდან გაიზრდება, ბათუმშიც გველოდება და ოქტომბრის ბოლოს – „მაჩაბელა“. მეცადინეობებს, სავარაუდოდ, კვლავ სახლში გავაგრძელებ, არასტაბილური და არაპროგნოზირებადი სიტუაციის გამო.



– ამ პანდემიურ ვითარებაში „აკვარიუმის“ ეს აქტიურობა გმირობის ტოლფასია...

– ებრაული ბრძნული გამოხატულება, დაახლოებით, ამდგვარი: „როცა საქმე არ არის, მაშინ კეთდება მნიშვნელოვანი საქმეები!“ – ასე დამემართა მეც. რაღაც განსაკუთრებული, ჯერ რომ არ მქონია, ისეთი ენერგიით შევეჭიდე და უმოკლეს დროში მოვამზადე სპექტაკლი. იოლი არ იყო რეჟისორობის, სცენარის ავტორობისა და მუსიკალური გაფორმების ერთი ადამიანის მიერ შეთავსება. როგორც იტყვიან, შიშველი ხელებით შევეჭიდეთ საქმეს. ფინანსურ საჭიროებაზე არაფერს ვამბობ. ფესტივალის ხარჯები მშობლების ხელშეწყობით დაიფარა. რადგან კერძო წრეა, ადგილობრივი ხელისუფლებისგან დახმარება, თურმე, არ გვეკუთვნის(!), მაგრამ უფლის ხელი რომ შეგეხება და შენც თავდადებას არ დაიშურებ, აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს შრომა. გიორგის ბევრჯერ უთქვამს – დედა, „აკვარიუმის“ მეცადინეობებისას ისეთი ბედნიერი და გაბრწყინებული სახე გაქვს, თითქოს დედამინაზე არც ხარო. მართლაც, ასეა!



მაისის დასაწყისში დამიკავშირდა ფესტივალ „მზიანი საქართველოს“ დამფუძნებელი და ორგანიზატორი, ქ-ნ თეა დავითაია, რომელსაც ჩემი მინორული განწყობილება არ გამოჰპარვია. „ყველაფერი დალაგდება, არ გაჩერდე! ასეთ ეკას არ ვიცნობ! ივნისის ბოლოს კვლავ სპექტაკლით გელოდები!“ – მათრახის გადაკვრას ჰგავდა მისი სიტყვები. სასწრაფოდ, ჩემი მომლოდინე რამდენიმე ბავშვი მოვიხმე, ორი ახალიც შეგვემატა და 6 ბავშვით (მათ შორის, ჩემი შვილი) სპექტაკლზე მუშაობა დაიწყო. დრო ძალიან ცოტა იყო, მით უმეტეს, ისეთი ღრმა, ფსიქოლოგიური შინაარსის პიესის მოსწრებისთვის, რომელსაც დიდი ისტორია აქვს. ამაზე მოგვიანებით ვიამბობთ. ფესტივალზე ექვსივემ საუკეთესო ნომინაცია დაიმსახურა. პირადად მე, საუკეთესო რეჟისურის, სცენარისა და მუსიკალური გაფორმებისთვის, – დიპლომი. თავდაუზოგავი შრომა, მიზანდასახულობა და სიყვარული იმისა, რასაც აკეთებ, სასწაულებს ბადებს! ყიურის ერთობლივი გადამწყვეტილებით, აჭარის დამსახურებულმა არტისტმა ვახტანგ გიგინეიშვილმა „აკვარიუმი“ სექტემბერში ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში მიიწვია სპექტაკლის საჩვენებლად.

– ვინ არიან „აკვარიუმის“ პატარა მსახიობები და როგორია თქვენი სამომავლო პერსპექტივები?

– „აკვარიუმის“ ყველაზე პატარა მსახიობი მარიამ ინდუშვილი პირველად 5 წლის მოვიდა ჩემთან. „ბურატინოს თავგადასავალზე“ ვმუშაობდით, თბილისში, „მაჩაბელას“ ბავშვთა თეატრალურ ფესტივალზე წასაღებად. ყველა პერსონაჟი



– ჟიურიმ თქვენი სცენარი გამარჯვებულად სცნო...
 – ნომინაცია – საუკეთესო რეჟისურა, ჩემ გარდა, სხვამაც მიიღო, საუკეთესო სცენარი კი მხოლოდ მე მერგო. ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. უპირველესად, ჰოლანდიელი საბავშვო მწერალი ქალის იმე დროსის მოთხრობამ „გამარჯობა, ლამაზო ჯარისკაცი“, რომლის მიხედვითაც დავწერე სცენარი და რომელიც კუნძულ ტექსელის აჯანყებაზე არის აგებული. მწერალი ტექსელზე ცხოვრობდა, როცა ის პატარა გოგონა იყო. საკუთარი თვალთ ნანახი და განცდილი სინამდვილე – ქართველი ჯარისკაცების ამბოხი დამპყრობელი გერმანელების წინააღმდეგ და ქართველთა მიმართ ტექსელელების ნდობა და კეთილი განწყობა შემდგომში მოთხრობაში აღწერა. ეს თემა მუდამ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ, საბოლოოდ დავრწმუნდი ჩვენი დიდი პაპების გამირულ თავგანწირვაში, რასაც პატარა გოგონა გულწრფელი აღტაცებით აღწერს. ხუჭუჭთმიანი ქართველი ჯარისკაცის სიმღერით მოხიბლული, „უჩვეულო, ხავერდოვან“ ენას უწოდებს ჩვენს ტკბილ ქართულს. ქართველი ჯარისკაცების საფლავებზე ზრუნვა დასტურია ჰოლანდიელი ხალხის მათდამი პატივისცემისა. მოთხრობის ავტორი ცოცხალია, 88 წლის გახლავთ. მასაც შევხვდებით ჰოლანდიაში, ნასვლა რომ არ ჩაგვშლოდა...

– მკითხველებს მოსწონთ თქვენი „ლიტერატურული ხაზი“, რომელსაც გამოსცემთ. რას იტყობით გაზეთისა და მის პერსპექტივებზე?

– „ლიტერატურული ხაზი“ 2015 წლიდან გამოდის, ყოველი თვის ბოლოს, მუნიციპალიტეტის ბაზაზე. ადგილობრივი, შემოქმედებითი და ლიტერატურული ცხოვრების გარდა, გაზეთი საქართველოს სხვა რეგიონის ლიტერატურულ პროცესებსაც აშუქებს რუბრიკით „ნომრის სტუმარი“, რაც უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის მას. ახალ ავტორებსაც წარმოვანჩენ, თუკი შემოქმედებითი ხელწერა არის მათში. ეს სტიმულია, განსაკუთრებით, ახალბედებისთვის. იმედია, მომავალშიც მექნება საშუალება, საამისოდ.

– ხაზის ლიტერატურულ ცხოვრებაზე რას გვეტყვი?

– წლების წინ, როცა ხაზს დაეუბრუნდი, იმთავითვე, ჩემი ყველა რესურსის, ნიჭისა და ურთიერთობების აქ გამოყენება გადავწყვიტე. ჩემი პროექტი „ვარსკვლავთცვენა“, რომელიც ამ მიზნით მოვიფიქრე, 2013 წლიდან დღემდე აქტიუალურია. 16 ივნისს, როგორც კი შეზღუდვები, მეტ-ნაკლებად მოიხსნა, მორიგი საღამო გავმართე და დიდი ხნით დაშორებული, მონატრებული ადამიანები ერთმანეთს შევახვედრე. სტუმრად გვყავდა ცნობილი ხელოვანები და საზოგადო მოღვაწენი დედაქალაქიდან. ჩემი მონოდება საზოგადო საქმის კეთება და შემოქმედებით ქურაში წრთობაა, რომლის სიმხურვალე კი არ წვავს, არამედ, ახალ იდეებსა და უნარს ბადებს. ღირსეული და საჭირო საქმის კეთება „სკამის“ გარეშეც შეიძლება, თუკი ამის ნიჭი და სურვილი აქვს ადამიანს.

– თავად თქვენი შემოქმედებითი მოსავალი როგორია... მომავალში რას უნდა ველოდოთ?

– ვწერ, ვთარგმნი, როცა მუზა მწყალობს და როცა დროს გამოვძებნი ყოფიერების მარათონიდან თავის დასაღწევად...

– ამბობენ, რომ შეუდარებელი მეოჯახე ხართ...

– ეზოში პატარა ბოსტანი მაქვს და ბალი – ნაირნაირი ხილით, რომელსაც ქილებში ვათავსებ ზამთრისთვის. როცა ბუნება ასეთ ძღვენს გაძლევს, როგორ არ უნდა დააბინავო... „ქარნაღებულნი“ ჩემი ფავორიტი ფილმია, ყველაფრით. განსაკუთრებით მიყვარს ფრაზა, რეტ ბატლერი რომ სკარლეტს ეუბნება: „ტარა შენთვის ყველაფერია, ძალას მიწიდან იღებ, სკარლეტ!“ მეც ასე ვარ...

– თქვენს შვილზე – გიორგიზე მოგვითხროთ...

– გიორგი ამქვეყნად ჩემი უდიდესი ჩანაფიქრია... უფლის შეწევნით, ყველაფერი აქვს: ჯანმრთელობა, ნიჭი, გარეგნობა, კეთილბუნებოვნება. ვცდილობ, ერთად მოუყარო თავი და სწორი გეზი მივცე. ახლა რთულ ასაკშია ყველა იმ მახასიათებლით, რაც ბიჭმა უნდა გაიაროს. ბუნებით მაქსიმალისტი ვარ და ძნელად ვეგუებ მის ამ ასაკობრივ მეტამორფოზას. თუმცა, შვილთან როცა მეგობრობ, საგანგაშო არაფერია. ასე რომ, ბენვის ხიდს ერთად გავდივართ დედა-შვილი, რომლის ბოლო უსათუოდ ნათელია!

– თქვენი მთავარი სათქმელი, რომელიც გასურთ უთხრათ მთელ კაცობრიობას, პლანეტას.

– ჩვენი პლანეტაც, ჩვენი შვილებივით, რთულ გზას გადის... ურთულესს! სამყაროს ახალ განზომილებაში გადაყვარათ, ამიტომ, დიდი გამოწვევების წინაშე ვდგავართ და, ეს, ყველაფერი იმ არასწორი ქმედებებისა და აზროვნების საპირწონეა, რომელიც უფლის ჯვარცმამაც ვერ გამოასწორა და აღკვეთა ჩვენში... შემთხვევით არაფერი ხდება და ის, რაც დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს, არის უფლისმიერი განსაცდელი, კიდევ ერთი შანსი ჩვენს გამოსასწორებლად. ეს ვრცელი თემაა და, ასე, მოკლედ ვერ ამოვწურავ. დედამიწას ახალი სამშობიარო ტკივილები აქვს. ჩემი კაცობრიობისადმი გზავნილია: დავეხმაროთ, გავუფრთხილდეთ ჩვენს ცისფერ ბურთს, უპირობო სიყვარულის, სიკეთის, მადლიერების, ერთმანეთზე ზრუნვის წრედი შევკრათ. მხოლოდ ასე გადავურჩებით ბოროტების კლანჭებს, რომელიც ზღურბლს არის მომდგარი!

– მე შემიძლია შევცვალო სამყარო! – ეს დევიზი ჩვენი თანმდევი, ორიენტირი რომ გახდეს...

– თითოეულ ჩვენგანს შეუძლია სამყაროს შეცვლა, მხოლოდ უფლის კარნახითა და შთაგონებით. თუ ჩვენ ყოველ გათენებულ დღეს სასწაულად არ მივიღებთ, თუ ყვავილის სურნელება არ აღგვაფრთოვანებს, თუ ჩვეულებრივ მოვლენად მივიჩნევთ იმას, რომ მზე გვათბობს, თუ სიცოცხლის მარადიულობას არ შევიგრძნობთ ნიავის ნამოქროლვისას, თუ მადლიერების შეგრძნებას დავკარგავთ, თუ მოყვასისთვის ლუკმა დაგვენანება, მაშინ ვერაფერს შევცვლით...

– თავიდან რომ მოველინოთ პლანეტას, რა გზას აირჩევდით?

– გულწრფელად რომ გითხრათ, არ ვიცი... ერთი ვიცი, რომ მეტად დავუგდებდი ყურს ჩემში უფლის ჩურჩულს, იგივე შინაგან ხმას, რომელიც ყველა ჩვენგანშია, მიყურადება არ ვიცი... როცა ეს ვისწავლე, ბევრად გამარტივდა ცხოვრების რუტინა.

– „რომელმან შექმნა სამყარო“ ...

– და, რომელმაც შექმნა, სწორედ მას სურს, რომ კიდევ ერთხელ გამოგვაფხიზლოს და გვიხსნას... შევუნყოთ ხელი...

გაზეთ „აჭარის“ ჟურნალისტი ლაშა ხომერიკი



მარიამ ჯაქარაიძე

სიყვარული, უპირველეს ყოვლისა...

ვეძებდი მზეში...
 ყვავილში... თოვლში...
 ყველგან ვეძებდი დაკარგულ იღბალს და ვოცნებობდი, კვლავ შენ მენახე სადღაც, ოდესღაც...
 ჰორიზონტს მიღმა! აქ უცნაური არის ბუნება და თითქოს სითბო გულის კარს აღებს, ცაცხვის სურნელი მესალბუნება, ღამეებს ვუთევ ყვავილთა ბალებს! როს ბაღში ყვავილთ ნიავი არხევს... მოდიან ჩემთან ხელის ცეცებით და ალიონებს ეგებებიან ღამენათევი, თეთრი ლექსები! გიპოვე... გეტრფი... გეტყვი, მიყვარხარ... აღარ დავეძებ სხვანაგვ ჩემს იღბალს... ვოცნებობ, კვლავაც რომ დაგემგზავრო, სადღაც... ოდესღაც... ჰორიზონტს მიღმა!

 როგორც კლდეს ჩანჩქერი, მოსწყდა გულს ფიქრი და შემოასკდა აზვითებულ სისხლძარღვებს მძლავრად...
 ფიქრი უტყვი, ჩუმი ფიქრი, ფიქრი მეტყველი აჯანყებულ სულს, ვით ფარი მახვილს, გადაეფარა! ვნატრობ, გათენდეს, თუნდაც ერთხელ, დილა სხივებით და ბნელი სული თუნდაც ერთხელ, გამიმზიანდეს...
 მერე – მშვიდობით, სამოთხეო, ჯოჯოხეთს მივალ, თუნდ, ჯოჯოხეთში სიყვარული დამიგვიანდეს.

ფერიცვალება

სვეტი სინათლისა, ჯვარი ცხოველისა!..
 ჟამი, ყოველისა უარყოფელისა...
 ვუმზერ ჟამს ჟანგიანს და ნისლებჩამდგარი სივრცის სველ თვალებს...
 ცას, მიწას, წყალს, ჰაერს – ნაგვემს და ნანვალებს...
 და, მე, ვით გრძნეული, არ ვკარგავ კვლავ იმედს „იმ ჟამის“ დადგომის, ავისგან განდგომის...
 მოვა დრო სულ-ხორცის ფერების ცვალების...
 მოვა დრო ზე-კაცთა ნამდვილი აღდგომის!

ვინა ვარ?

ვინა ვარ? – მწველი მზის სხივი, ფესვი, მიწიდან ნაზარდი, ზეცით მოსული მტვერი ვარ, მარად სიცოცხლის აზარტი! ნამი ვარ, ბალახის მძივი, მით მოჩურჩულე ნიავი, ქარიც ვარ, ქარიშხალი ვარ, მებრძოლი უღვთო სიავის! ია ვარ სურნელოვანი, პეპელა, დღე-ღამიანი...
 ფრთებგადაშლილი არწივი, ფრინველთ გულთ მკყრობი, სვიანი! ღვთის შვილი, აბელის მოდგმა...
 ლბილი, სულ-გულით მზიანი, ბოროტის მგმობი, კეთილი, წრფელი, ადამისიანი!

ნაიბილწა დედაენა ჩვენიც ხელით ჯვარცმული! ისარივით ვისვრით სიტყვებს, უხამსობით მართულნი...
 ვყელყვლაობთ, რომ კოსმოსში მღერის ჰანგი ქართული...
 საიდუმლო ღვთისა არის ამ ენასა მარხული! აღარ ათბობს სხივი მზისა დედამიწის ნაპრალებს, ქვესკნელისკენ მიუყვებით წინაპართა ნაკვალევს!
 საუკუნო საფიქრალი ვიდრე ისევ გვაქეზებს, უარი ვთქვათ მსახვრალთა და უკეთურთა ზრახვებზე! იცხრილება საქართველო ლუციფერის საცერზე!..

ნომის სცენარი



ქ-ნი ნანა დარჩიაშვილი თბილისში ცხოვრობს. იგი ათი პოეტური კრებულის ავტორია, აქედან 9 – საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების.

ქ-ნი ნანა გახლავთ ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი და იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების პედაგოგთა კავშირის ოქროს მედლის მფლობელი. აგრეთვე, საბავშვო-ჟურნალ „წყაროსთვის“ დამფუძნებელი და რედაქტორი.

ბავშვების უსაზღვრო სიყვარული აწერინებს მას სილათადასინრფელით სავსე სტრიქონებს, რომლებიც სიკეთის, მეგობრობისა და სამშობლოსადმი ერთგულების ჩაუქრობელ ლამპრად წარუძღვება მომავალ თაობებს.

გულუბრყვილო გოგონა (ნამდვილი ამბავი)

ეთერის დედ-მამას 5 შვილი ჰყავდა. სოფლის შუაგულში პატარა ქოხში ცხოვრობდნენ. დედა ავად იყო და ოჯახს მამა გაჭირვებით ინახავდა. ერთხელ, ექიმმა დედას ძვირადღირებული ნამლები გამოუწერა. შენუხდნენ, რა უნდა ექნათ, ფული საიდან მოეტანათ...

ათიწლის ეთერმა ბევრი ფიქრის შემდეგ გამოსავალი მოიხატა: სოფლიდან მოშორებით ბაზრობა იმართებოდა. გოგონამ ლამაზი, ფუმფულა ლეკვი კალათში ჩასვა და გასაყიდად წაიყვანა. გამვლელ-გამომვლელები ლეკვს ეფერებოდნენ, მაგრამ ყიდვით არავინ ყიდულობდა. დაღონდა ეთერი, დედისთვის ნამლის ფული ვერ მიჰქონდა, რომ მამას მიშველებოდა. ის იყო, შინ დაბრუნებას აპირებდა, ერთი კაცი მიუახლოვდა, ლეკვს მიეფერა, გოგონას ფული გადაუხადა და ლეკვიანად თავის გზას გაუყვა.

ცოტა ხანში კაცი უკან მოტრიალდა, ეთერს ნამოწნია და შეეკითხა:
– შვილო, ეს ლეკვი ნუნკი ხომ არ არის?
– კი, ძია, წინილებსა სჭამს, – უპასუხა ეთერმა. კაცს გაეღიმა, ლეკვი უკან დაუბრუნა და ფული გამოართვა.

ეთერი დაღონებული დაბრუნდა სახლში. როცა დაღონების მიზეზი ჰკითხეს, რაც გადახდა, დედას უამბო. დედამ შეაქო შვილი:

– ყოჩაღ! სიმართლე გითქვამს. განა მატყუარა ბავშვი ვინმეს ეყვარება?

სიმართლე თვალის სინათლეაო...

ჩემი სამშობლო საქართველოა!

მე დავიბადე საქართველოში,
ჩემი სამშობლო საქართველოა,
მარადმზიანი ქართული მიწა,
დედაღვთისმშობლის სამლოცველოა!
მამული, ენა, სარწმუნოება! –
ისმის ტაძრიდან, რეკავს ზარები,
ჩემი სამშობლო საქართველოა,
მე სამშობლო მაქვს სათაყვანები!
ლოცვად მოვედი ქართული ცის ქვეშ,
ციტ მომავლინა მაღალმა ზენამ,
ვიზრდები დედის იავნანათი,
მანრობს ფრთამალი ქართული ენა!
ენა ღვთიური, მარადიული,
მადლით მოსილი რუსთველის ენა,
ენა ჰანგებად მიმოხეული,
ჩემი სიმდიდრე და აღმაფრენა!
მე გავიზრდები იმედით, რწმენით,
გზას დამილოცავს მადლით უფალი,
მექნება ზეცა ფირუზისფერი
და საქართველო თავისუფალი!

უკვე დიდი ბიჭი ვარ

ეს რა ლურჯი დილაა,
გამიბრწყინდა თვალები.
სკოლის ზარი მიხმოხს და
მეც მივქრი გამალებით...
სკოლის კარი შევაღე,
უკვე დიდი ბიჭი ვარ,
დაუთვლელი მიზნებით,
პირველ რიგში, იცით რა?
ვიყო სამაგალითო
სწავლითა და ზრდილობით,
ვასახელო სამშობლო
ჩემი გვარიშვილობით.
„აი - ია“ უქრობლად
მენტოს, როგორც სანთელი,
ვიყო მამულიშვილი,
საამაყო ქართველი!

ჩემი ბედნიერება

აქ, საოცნებო საქართველოში,
ბედნიერი ვარ, რომ დავიბადე,
სადაც შაშვები ტკბილად გალობენ
და ემატება სურნელი ვარდებს!
ჩიტების ჟღერტულს რომ გავიგონებ,
ყურს ნაზად ესმის ბუღბუღის სტვენა,
მადლობას ვწირავ ჩემს გამჩენ უფალს,
მადლობას ვწირავ ჩემს გამჩენ ზენას!
ჩემო მამულო, განა ოდესმე
მე მომწყინდება შენი ფერება?
ქართული ცის ქვეშ რომ ვიფურჩქნები,
ეს არის ჩემი ბედნიერება!

* * *

მიჭირავს თასი ბადაგით სავსე,
შენს სადიდებელს ვამბობ, მამულო,
მე მზრდის ადათი მამა-პაპური,
ვიზრდები კაცი, რომ გემსახურო!
მკერდით დავიცვა ქართული მიწის
ყველა გოჯი და ყველა მტკაველი,
ვიარო იმ გზით, რასაც გვასწავლის
ილია წმინდა და რუსთაველი!
მე დავიბადე საქართველოში,
ღვთისმშობლის ნილხვედრ ზღაპრულ მხარეში,
ქვეყნად ქართველად რომ მომავლინა,
მადლობა უფალს, უმხურვალესი!

ჩემი პირველი მასწავლებელი

ახალბედამ სიხარულით
შემოვალე სკოლის კარი,
ციცქნა გოგოს გამიღიმე,
გულში თბილად ჩამიკარი!
შემასწავლე „აი - ია“,
შემასწავლე ანი - ბანი,
შემასწავლე საოცნებო
დედაენა სანუკვარი!
საოცრება იყო ჩემთვის
ის პირველი გაკვეთილი,
შემიყვარდი დედასავით,
მისებრ სათნო და კეთილი!

დელფინი

გამიღიმა ზღვიდან,
გაოცებით ვუცქერ.
გავუნოდე მარწყვი,
გადაყლაპა უცებ.
ჩამოეყრდნო ნაპირს,
ლაპარაკობს თითქოს,
მაჭამეთო კიდეც, –
გვიცინის და ითხოვს.
კვლავ მივართვი ხილი:
ბანანი და მსხალი,
გადასანსლა ხელად,
დააყოლა... წყალი!

სკოლისაკენ

ჩემო ჭიკჭიკა მერცხალო,
შენ ჩემო თვალბეკრიალა,
სკოლაში გიხმოხს ანბანი,
ზარი ხმატკბილი, წკრიალა!
„აი იას“ რომ ისწავლი,
ისწავლი – დედაენასა,
გახსოვდეს, ცოდნით შეიძლება
ცის გუმბათამდე ფრენასა...